საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 10 ივნისის
დადგენილება № 471

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბაკალავრიატის
და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების
და მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებების
კორექტირების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებასთან სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის _ ,,გეოლოგიის" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ ,,გეოლოგიის ბაკალავრის" კვალიფიკაცია;

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის _ ,,საინჟინრო გეოდეზიის" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ ,,სამთო - და გეოინჟინერიის" ბაკალავრის კვალიფიკაცია;
3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ,, სამთო და სამარქშეიდერო საქმე" შეიცვალოს დასახელებით: ,,სამთო ტექნოლოგიები";
4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის _ ,,სამთო ტექნოლოგიების" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ ,,სამთო- და გეოინჟინერიის" ბაკალავრის კვალიფიკაცია;
5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის _ ,,ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ ,,სამთო- და გეოინჟინერიის" ბაკალავრის კვალიფიკაცია;
6. სამაგისტრო პროგრამის_ ,,სამთო ელექტრომექანიკის" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ კვალიფიკაცია ,,ინჟინერიის მაგისტრი სამთო საქმეში";
7. სამაგისტრო პროგრამის_ ,,საინჟინრო გეოლოგიის" კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ კვალიფიკაცია: ,,ინჟინერიის მაგისტრი საინჟინრო გეოლოგიის სპეციალიზაციით".

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე